პირადი სივრცე ანუ უხილავი საზღვარი მოსწავლემდე

ავტორი მეგი კავთუაშვილი

დედამიწაზე რამდენი ადამიანიც ცხოვრობს, იმდენი „პირადი სივრცე“ არსებობს. რეალური თუ ირეალური მანძილი ყოველ ინდივიდამდე სხვადასხვაა. ხილული საზღვრების გარდა ადამიანები თავის გარშემო თვალით უხილავ საზღვარსაც ქმნიან.

პირადი სივრცის აღქმა ბავშვობაში ყალიბდება და მისი დარღვევა ადამიანების ქვეცნობიერში დისკომფორტს, ფორიაქს, შფოთს და სხვა უარყოფით ემოციებს იწვევს. პირველად, სწორედ ბავშვობაში გვაწუხებს, თუ ვინმემ ჩვენს სივრცეში უნებართვოდ შემოაღწია, მით უფრო, თუ სივრცის დამრღვევი ზრდასრულია და განსაკუთრებული უფლებებითაც სარგებლობს. მაგალითად, მასწავლებლის სტატუსით.

12 წლის გოგონა უხასიათოდ დაბრუნდა სკოლიდან. მიზეზი, რომელიც დედას გაუმხილა, ის იყო, რომ მეექვსე გაკვეთილზე, მერხზე ჩამოდებული თავი მასწავლებელმა ხელით ააწევინა და ფიზიკური მოქმედებით აიძულა სკამზე გამართული დამჯდარიყო. აი, ასე, ნიკაპზე მოკიდა ხელი და თავი ააწევინა.

- „მე ისედაც ვუსმენდი მასწავლებელს, ჩემთვის კომფორტულ მდგომარეობაში. რატომ შემეხო, ამით ხომ ჩემი პირადი სივრცე დაარღვია“. – ამბობდა განაწყენებული გოგონა.

დედის ნათქვამი მასწავლებელს სიცილად არ ეყო, მით უფრო, რომ ამ მეთოდით მოსწავლეები არაერთხელ წამოეყენებინა მერხიდან. როგორც ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, პედაგოგთა ერთი ნაწილი იტყვის, სუნთქვის უფლება აღარ დაგვიტოვონო, ისე თქვა იმ მასწავლებელმაც და ამით ამოიწურა ინციდენტი. თუმცა გოგონას საყვარელი საგნების რეიტინგში, იმ მასწავლებლის საგანმა ქვევით გადაინაცვლა.

ზრდასრულების მსგავსად, ყველა მოსწავლე თავად განსაზღვრავს, რა არის მისი პირადი სივრცე. სად გადის ზღვარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის.

როგორ ესმით სკოლაში მოსწავლის პირადი ცხოვრების უფლება? კერძოდ, რამდენად იცავენ უფროსები მოსწავლეების პირად სივრცეს?

მაგალითისთვის, განვიხილოთ მოსწავლეთა ვარცხნილობის სტილი, რომელიც ხშირად სკოლების შინაგანაწესით განისაზღვრება. გარდატეხის ასაკში მყოფი მოსწავლეების დიდ ნაწილს უფლება არ აქვს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თავისი თმების მდგომარეობის შესახებ.

სასკოლო შინაგანაწესის თანახმად (უმეტეს სკოლებში ეს ჩანაწერი არსებობს), მოსწავლის ჩაცმის წესი ასეთია: სკოლების “მოსწავლე უნდა იმოსებოდეს სადად, ასაკთან შესაფერისად. დაუშვებელია შეუფერებელი, გამომწვევი, ვულგარული, ავანგარდული ან/და ექსცენტრული ჩაცმულობა. მოსწავლისათვის აკრძალულია მოკლე შარვლის ტარება. მოსწავლისათვის აკრძალულია სკოლაში გამოცხადება შეღებილი თმით და „მაკიაჟით“. ვაჟები უნდა გამოცხადდნენ მოკლედ შეჭრილი თმით.”

რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორმა მე-12 კლასელ მოსწავლე ბიჭს გაკვეთილზე მაკრატლით მოაჭრა გრძელი თმა. მშობელს პრეტენზია არ ჰქონია, ან კი როგორ გაბედავდა დირექტორისთვის შეწინააღმდეგებას. მოსწავლის ჩივილს ყური არავინ უგდო. ერთი შეხედვით, დირექტომა გაიმარჯვა, მაგრამ რა იქნება მომავალში? რას მიაღწია ძლევამოსილმა დირექტორმა ამ ქმედებით, როცა უხეშად შეიჭრა 17 წლის ბიჭის პირად სივრცეში, ისარგებლა მისი მოთმინებით, შეაჭრა დიდი ხნის ნაზარდი თმა და გაიმყარა მკაცრი დირექტორის სახელი.

რაც უფრო მკაცრად არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი მოსწავლის პირადი სივრცის ფარგლებში არსებულ ვითარებას, მით უფრო აშკარაა, რომ სასკოლო საზოგადოების ნაწილი მზად არ არის მოსწავლეებთან, როგორც ინდივიდებთან ურთიერთობისთვის.

მოზარდები ინდივიდუალიზმისკენ მიილტვიან, ცდილობენ ერთმანეთისგან განსხვავებული სტილი იპოვონ, უფროსებისგან არაკორექტულად გაცემული შენიშვნები კი მოსწავლეებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. რაც უფრო ღრმად იჭრება მასწავლებელი თუ მშობელი ბავშვის პირად სივრცეში, მით უფრო მძიმე კომპლექსს უტოვებს მოზარდს. ეს კომპლექსი კი შეიძლება მთელი ცხოვრება ახსოვდეთ და გულში ხინჯად ჰქონდეთ. როგორც მე მახსოვს, საკონტროლო წერის დროს მერხებს შორის მოსიარულე მასწავლებლის მიერ ჩემი ლამაზი ვარცხნილობის უმიზეზოდ ხელით მოსინჯვა და გავლით ნათქვამი მწარე კომენტარი: – „მაგ „პრიჩოსკების“ გაკეთებას, გაკვეთილების უკეთ მომზადებაში დახარჯე დრო, ის ჯობიაო“. (ამ სიტყვებით იმხელა ზემოქმედება მოახდინა ჩემზე, მას შემდეგ უკან შეკრული თმით დავდივად. სილამაზის სალონშიც კი ისე ვითხოვ თმის დავარცხნას, რომ არ მეტყობოდეს სალონის კვალი.)

თუ ჩვენ გვინდა სკოლაში მოსწავლეები თავს კარგად გრძნობდნენ, უნდა დავუტოვოთ მათ პირადი სივრცე. სადაც იმ ფერს ლაქს წაისვამენ ფრჩილზე, რა ფერიც სურთ; იმ ტატუს გაიკეთებენ, რაც გაუხარდებათ; ისე შეიჭრიან, გაიზრდიან, შეიღებავენ და გადაიპარსავენ თმას, როგოც ესიამოვნებათ; გაიხვრეტენ ყურს, ცხვირს ან არ გაიხვრეტენ.

დროა, სკოლამ აღიაროს, რომ მოსწავლეთა მანერები, ჩვევები, თავის მოვლის კულტურა, სამოსი, ვარცხნილობა თუ აქსესუარები მათი პირადი სივრცის ნაწილია, რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. ისე, როგორც უფროსები ვექცევით ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი.